

# ნოშადურნი



№ 16.

ყოველკვირეული ჟურნალი

1907 წ.

ქართველი ზეპირმეტყველები და მოღვაწენი.


„უადამისა, რომ შეეცდინა და შებ  
ლი ჯოჯოხეთში ეწამებინა, რათა ს  
ქნა.“

იარა, იარა და ე-თ მიყრუებულ  
ღვა.


გლებებმა რა დაინახეს—შეშინდნენ,  
არ შეეშინდებოდა მის დანახვაზე? ხან  
ოდა, ხან საკბენად იკრიკებოდა, ხან მ  
ნოდა და საერთოდ კი ადამიანს შიშსა ჰ  
მის სიშიშივლეს გრძელი, ჯაგარისებუ  
ი ჰფარავდა და გრძელი, ბანჯღვლიანი  
ფერსზე დასთრევდა! ხელფეხის ფრჩ  
ამიწასა ჰკრავდა და ლოჯები გარედ გ  
ვა.

ემშაკმა შენიშნა, რომ გლებებს შეეშინ  
ნგელოზის სახე მიიღო.

— „აფხანაგებო!“—მიჰმართა გრძელ  
კმა გლებებს,—რისა გეშინიანთ, მეც თქვე  
ეგობარი ვარ! აბა კარგად დამაქცერდი  
, მეც თქვენსავით დაკოყრებული ხელები  
ბი და მოჩიბოლი არა ჰქონია.



სტეფანე ჭრელაშვილი



გ უ ზ უ ლ ი.

ვიდრე ვიყავი თავისუფალი,  
თავისუფალი მე მქონდა ენა,  
ყველას თანაბრად უტკობდა სმენას  
ჩემი სიმღერა, ჭიკჭიკი, სტვენა.

ვერაგმა, ხარბმა ადამიანმა  
მანე დამიგო შესაპყრობადა,  
და ვალიაში გამომამწყყვდია  
საკუთარ სმენის დასატკობადა.

მაგრამ აღარ ვმღერ... აღარ იხაროს,  
თავისუფლება ვისაც მოაკლდეს;  
ტურფა ზაფხულის დამშფენებელი  
ვარდი თოვლის ქვეშ არა აჰყავდეს!..

ი. მჭედლიშვილი.

„ა ვ თ რ ნ ი ა“.

„ამას ქვიან ავტონომია, დიახ, სწორეთ ასე,—ავტონომია“.  
„წყარო“, № 30.

კურთხეულ იყოს შენი სახელი, დიდო ალახო, ამაზე უფრო საკვირველი მე რაღა ვნახო?! ყველას ველოდი: მგლისა და თხის ერთათ ძოვასა, პურიშკევიჩის ესდეკობას, მემარცხნობასა, მამა ევლოგის ანგელოზათ გადაქცევასა, ტიმოშკინისა „დუმიდამა“ გამოთრევასა; სააღყო წესთა გაუქმებას, გამოთხოვასა, პოლიციელთა მაგიერათ წმინდანთ ხროვასა, ქართულ თეატრის აშენებასა, აყვავებას, ესდეკებისგან ესფერების ხოტბას და ქებას,— აქლემის ნემსში გაძრომასა, მდიდრის ცხონებას; მაგრამ ერთ რამეს ვერაოდეს ვერ ვიფიქრებდი, არა არ მქონდა, ოხ ალახო, ამის იმედი, რომ... რომ გაზეთი ჩვენი „წყარო“—მენშევიკური, რომელმაც კარგათ შეისწავლა ცეკვა-ტლინკური; იტყოდა იმას... დიახ იმას... ოხ, მეძნელება— მე, სწორე გითხრათ, მისი სიტყვის გამეორება! მაინც და მაინც მოვიმაგრებ დაჩაგრულს გულსა და თქვენი მონა კვლავ გაგიწევთ ჩემს სამსახურსა: იცით მან რა სთქვა წარსულ კვირას?— „ავტონომია“! აქნობამდისო გვქონდა გრძნობის ეკონომია, და ამიტომაც ვერ ვამხელდით ჩვენ ამ სიტყვასა, თორე ის ჩვენც გვწამს, ვინ დაგვიწყებს მისთვის | კიცხვასა?

ის ჩვენი გულის წილშია აწ დამარხული, ჩვენცა გვაქვს მისი ტრფიალება და სიყვარული. მხოლოთ ვერა ვსთქვით, ეს ერთგვარი პოლიტიკაა, (მოდით ნუ ჰკადრებთ, რომ ეს გვაში კუდაბზიკაა) ავტონომია, დიახ, ჩვენც გვწამს ჩაგრულ ერთათვის, ჩვენც იმისათვის გული გვტკივა და მკერდი გვითრ- | თის!  
დიახ, „სწორეთ“ რომ „სწორეთ, სწორეთ, „ავტონომია“

ჩვენც საიდუმლოთ არა ერთხელ მოგვინდომია! ჰოი, ალახო, საკვირველ არს შენი სახელი, ესეც მიჩვენე, თუმცა ბევრის ვიყავ მნახველი, და ამის შემდეგ თუ ქართველი მარქსისტ-ესდეკი, ახირებული, ჟინიანი, ძლივს მოსადრეკი, ავტონომიას აწ თხოულობს ივერიაში და ასე უცბათ მან გაშოლტა თავისი რაში, რათ არ ვიფიქროთ ტიმოშკინი დუმაში ხვალე კარლო ჩხეიძეს ეტყვის: ძმაო, შენ გენაცვალე! მეც შენთან ერთათ რესპუბლიკას ვითხოვ რუსეთში, აქნობამდისინ მას ვმალავდი ჩემს გულს და მკერდში! ჰოი, ალახო, კიდევ ვიტყვი, ხარ დიდებული, რომ გამაგონე ესე საქმე ახირებული!

ი. ევდოშვილი.

„ნიშადურის“ უმბრობა.

ეროვნული საბჭოელი

არ გვეგონა, თუ ნიშადური წამალი იქნებოდა. წარმოიდგინეთ, მან სრულს ქუთაზე მოიყვანა თვით ქსნის დიდებული თავადი ზაქარია გიორგის ძე ერისთავი. ეს ბრწყინვალე ვაჟბატონი რომ ჰქადაგებდა „ლისტოკში“. ილია ქავჭავაძეს ძეგლი არ ერგება, რადგანაც მან ხალხისათვის არაფერი გააკეთაო; მე კი გავაკეთეო; მაშასადამე: დასკვნა აღარ გამოჰყავდა; მაგრამ აშკარა იყო, რომ ძეგლსა თხოულობდა. ეხლა, როცა „ნიშადურის“ სრული კერძი, პორცია იგემა, სხვა ანგზე გალობს იმავე „ლისტოკშივე“. ილია თითქმის მსოფლიო გენიოსი იყოო, შეუდარებელი ბულბულიო; მაგრამ, ერთი რამ აკლდაო: არ იცნობდა ჩვენს მამალსა და სხვა მგალობლებს უჯერებდაო.

ვინ იყო ეს შეუდარებელი მამალი? რასაკვირველია იგივე ქსნის დიდებული. ამას იგი პირდაპირ არ ამბობს ბრწყინვალე სიმდაბლის გამო; მაგრამ მკითხილს... | ალოისხმიბინებს.

ქანონით.

ამასო მოიხინა ჩხევენა-კოცნაში „ჩახრჩობა“ საყვარელი ქალისა. აცხადებს: გაზეთში „გალახვა“ დამნაშაქისა. წმინდა დროს „მოკვლა“—ქალაღლის თამა-სხვამობით. ბის რებო „მოპარვა“—სხვისი აზრისა გაზეთის ში, ამან სტატიისათვის.. ტიორობ რედ-გამმცემელი ვალერიან გუნიო. იტყვის: ლა მინ იცის, თ

ან ერთად ეგზავნება ხელსმომწერთ

მელერიის რეზინის ომების განცხადება.

მე ქვეყნის მსხისათვის აუცილებელ საჭიროებებთ, რაც გინდ მოგვადგეს ჩვენ გასაქირი? ქეშმარტების მებრძოლ მკირე გუნდს ვერ შეაყენებს მტერთა სიპრავლე, ვერც იარაღი ბასრი, მქექარე, ვერც საპყრობილის ცივი სიბნელე!.. ვერ დაგვიმონებს მტარვალთ მუქარა თავისუფლების მოტრფიალეთა; ბრძოლით განწირვით თავს რომ გავიტანთ, ცრემლს მოვაშორებთ ტანჯულ მოძმეთა.

დაე, დავლიოთ სული ბრძოლაში, ვემსხვერპლოთ დიდის მოძღვრის მცნებასა, არად ჩავადგებთ ქვეყნის ხსნისათვის სისხლსა დანთხელს, პირად ვნებას!

ალ. ჩახუნაშვილი.

სადაც მიხვიდე, ჟუღიც იქაური დაიხუტა.

(ზღაპარი მოზრდილებსათვის)

იყო და არა იყო-რა, იყო ერთი ეშმაკი.

მას წინად ანგელოზის სახე ჰქონდა, მაგრამ გული კი ეშმაკისა, ამიტომ ვეღარ დაჰვარა თავისი სიეშმაკე, დასწყევლა ღმერთმა და უბსკრულში ჩამოაგდო.

თურმე ეს უბსკრული ჩვენი ქვეყანა ყოფილა! მაგრამ არ დაიმსხვრა და სიკვდილს გაუტურჩა. ან რა მოჰკლავს ეშმაკს? ის ხომ ეშმაკია—ბოროტი და კეთილ გზის ამატდენელი.

დაიარებოდა ეშმაკი ტყე ღრეებში და ვერსად ენახა ძე ადამისა, რომ შეეცდინა და შემდეგ მისი სული ჯოჯოხეთში ეწამებინა, რათა სიამოვნება ეგრძნო.

იარა, იარა და ერთ მიყრუებულ სოკელს მიადგა.

გლახებმა რა დაინახეს—შეშინდნენ. და ან ვის არ შეეშინდებოდა მის დანახვაზე? ხან იბღვირებოდა, ხან საკბენად იკრიჭებოდა, ხან მელურად იცინოდა და საერთოდ კი ადამიანს შიშსა ჰგვირიდა!

მის სიშიშივლეს გრძელი, ჯავარისებული ბალანი ჰფარავდა და გრძელი, ბანჯღვლიანი კული ერთ ვერსზე დასთრევდა! ხელფეხის ფრჩხილებს დედამიწასა ჰკრავდა და ღოჯები გარედ გადმოეყარნა.

ეშმაკმა შენიშნა, რომ გლახებს შეეშინდათ და ანგელოზის სახე მიიღო.

— „აფხანაგებო!“—მიჰმართა გრძელ კულა ეშმაკმა გლახებს,—რისა გეშინიანთ, მეც თქვენი ძმა და მეგობარი ვარ! აბა კარგად დამატკერდით! ჰხედავთ, მეც თქვენსავით დაკოჭრებული ხელები მაქვს. (ხელები დაკოჭრებული არა ჰქონდა, მაგრამ მათ ასე მოაჩვენა) მეც, მაშასადამე, მშრომელი ვარ და ამიტომ ჩემი ნათქვამი უნდა დაიჯეროთ! მაშინ თქვენ „ტეტურად“ აღარ იცხოვრებთ, არამედ კეთილად და განცხრობით!

„აფხანაგებო!“—თანდათან უფრო იბერებოდა, რომ რაიმე შთაბეჭდილება მოეხდინა გლახებზე და თან მაცდურად იღიმებოდა,—მე რადგანაც თქვენი ძმა ვარ, და თქვენთვის კეთილიცა მსურს, ამიტომ გიჩვენებთ იმ გზას, რომლის საშუალებით თქვენ სხვა ნეტარ ქვეყანაში გადახვალთ. ჩემი ყოველი

სიტყვა უნდა დაიჯეროთ. დიად, მარტო ჩემი სიტყვა!“ სხვა გარეშე ჩემსა, ყველა სიტყვას არ დაუჯეროთ, სტყუიან, მე მართლმადიდებელს ვესმით? მართალს?! სხვა „პროპაგანდისტი“ აქ აღარ შემოუშვათ, რადგან აქ მე ვილაპარაკე და თქვენ ჩვენ სამწყსოს შეადგენთ!

კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა, აღბად ის რომ კეტებით დაიფრინეთო, რომ ამ დროს შორს ვილაკას თვალი მოჰკრა და ლაპარაკის კილო შესცვალა-

— ის ვინ არის?—მელურად დაიკნავლა ეშმაკმა.

სხვა დროს ლომივით გრგვინავდა და ეხლა რა დაემართა, რომ კული წელზედ შემოიხვია და მაცდური სახე გააღიმა?

— ის ჩვენი მებატონეა—თავადი! უბასუხეს გლახებმა.

— ჰოოო! მე სხვა მეგონა, მაგრამ ვინც უნდა ყოფილიყო, თუნდ ანგელოზიც, მე მას დავუმტკიცებდი, რომ გლახებისთვის მე უფრო შემტკივა გული, ვიდრე იმას! ერთად ერთი მე ვარ, რომ თქვენთვის გული შემტკივა—სხვა ყველა გატყუებთ. ის მემამულე თქვენი მტერია, მაგან ჩაბლუჯა მამულები და თქვენ კი ცარიელზე დაგყარათ! უნდა ძალით ჩამოვართვათ, თქვენ უნდა გადმოგეცეთ! —ეშმაკი ამ სიტყვებს ამბობდა და თან უხაროდა, რომ გლახები თავის ენაწყლიანობით მოხიბლა და განაგრძო:

— მაგრამ ესეც იცოდეთ, რომ თქვენ მარტო ვერას გახდებით, თუ ქალაქის მუშებს არ დაუმეგობრდით და ერთად არ იბრძოლეთ. თქვენც იმათი ძმები ხართ, თქვენი „აფხანაგები“ არიან! დაიხსოვიე სიტყვა: „აფხანაგი“! და ყველას ამ სიტყვით მიჰმართეთ ხოლმე. დიდებული სიტყვა: „აფხანაგი“!

ეშმაკმა დიდხანს ილაპარაკა და გლახებზეც დასთანხმდნენ. მაგრამ რას დასთანხმდნენ, თვითონაც არ იცოდნენ. შეუგნებელი გლახი ადვილად ემორჩილება ხოლმე მყვირალას, სანამ მის არარაობას შეიგნებს და შემდეგ კი—მშვიდობით!

ეშმაკმა მათში რადენიმე სული იყიდა და ის სოფელი იმათ ჩააბარა.

ეშმაკის მონათლულებიც დაეშმაკდნენ და ხალხს გზა ჯოჯოხეთისკენ გაუკვილეს.

შემდეგ ეშმაკი გლახებს გამოეთხოვა და მებატონესთან მიცუნცულდა.

მებატონეს სულ სხვა სახით მოეჩვენა.

სადაც მივიდოდა ქუდს იქაურს იხურავდა, მაგრამ ყველას კი თავის გრძელ კუდს უმაღავდა. მებატონე მიესალმა, ეშმაკმაც მას აღერსიანად გაუღიმა და უთხრა:

— თქვენ ძალიან გულ კეთილად ექცევით გლახებს. რაც შეიძლება მეტი ღალა გამოართვით,

დაალარიბეთ, რომ შემდეგ ჩემი მოძღვრება ადვილად შეიგნონ. ასე გულ-კეთილად მოპყრობა შეუძლებელია. ჩვენი მოძღვრების წინააღმდეგია და ამიტომ სამღერავის ღირსი ხარ. როგორც გიბრძანე ისე მოიქეცი, თორემ ძლიერნი ვართ და...

ეშმაკი გამოეთხოვა.

ბატონიც ბრძანებისამერ იქცეოდა.

ეშმაკისთვის ეს დიდად სასიხარულო იყო, ვინაიდან იგი ბევრსა სკოდავდა და ჯოჯოხეთში ნიადაგს იმზადებდა.

შემდეგ სოფელს თავი მიანება, გაშალა ბანჯღვლიანი კუდი და ქალაქისკენ გაემგზავრა.

მივიდა მუშებთან და მათი წმინდა წყალი აამღვრია. არ გასულა რავდენიმე თვე, რომ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და მათი უმანკო სულები თავის ბრწყალებში ჩაბლუჯა.

ბევრი მუშა მიუხვდა სივერაგეს, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ, რადგან ჯერ კიდევ მონები იყვნენ.

ეშმაკს უხაროდა, საზარლად ხითხიანებდა და იძახოდა:

„ბელზებელი ჩემი ბრძანებელია და მე მისი მოციქულიო!“

თავის მომხრეებს ყოველივე კეთილი დააგმობინა...

თავი პოეტად მოაჩვენა, მაგრამ ღმერთს მისი ნიჭი ცაშივე წაერთმია,—ე. ი. გაეპროლეტარებინა! ჩამოაგდო შური და მტრობა.

ბოროტებს კეთილად ნათლავდა, რადგან თვითონ ბოროტი იყო!

მოაზრეებს უარ აყოფინა საკუთარი თავი და სხვას დაამორჩილებინა!

ყველას უკუღმართი აზრებით გონება დაუბნელა.

დღე ღამედ მოაჩვენა და ღამე--დღედ.

ყველა გაათვალთმაქცა, გაათარისველა.

ჭორები გაავრცელა და მართალი მიწასთან გაასწორა.

უგუნურებს დიდებული ადამიანის სახელი ტალახში ამოასვრევეინა, თვისი კი ცამდის ააყვანინა, მაგრამ ცისა შეეშინდა და უბრძანა „მონებს“ ცოტა დაბლა ჩამოეწიენათ.

გლეხები ქალაქის მუშების შეურიგებელ მტრებად აღიარა და აქაც დიდი შური და მტრობა ჩამოაგდო, თუმცა კი გლეხებთან სულ სხვასა ჰქადაგებდა!

„სადაც მივიდა ქუდი იქაური დაიხურა!“

ბოროტნი და მეჭორენი, უფრო კი ქვემძრომნი, ეშმაკს ძლიერ შეუყვარდა.

გველსა და ბაყაყს ძალიან დიდ პატივსა სცემდა, მაგრამ ყველაზე ძალიან თავუნა შეუყვარდა.

„სული სულს იცნობს და გული გულსა!“

გველი იმიტომ უყვარდა, რომ შხამს ანთხევდა და ადამის შეცდენაში დიდი დახმარება გაუწია.

ბაყაყი—იმიტომ რომ აყროლებულ გუბში იჯდა და თავის არარაობას ყიყინითა ჰქუაუყუდა და თავუნა კი იმიტომ, რომ ბნელს სოროებში დაძვრებოდა.

ერთ დღეს ეშმაკი დაღონებულიყო და თვალეში ცრემლები მორეოდა.

თურმე მის მეგობარს თავუნას ეთხარა, ეთხარა და კატა გამოეთხარა.

საბრალო! იმიტომაც აღარ ისმის მისი საცოდავი წრიბინი.

საუკუნო განსვენება მის ხსენებას!

ეშმაკი კი ისევ ცოცხალია. დადის და კვლავ ბოროტებასა სთესავს. ქორებს ავრცელებს.

ხალხს ჯოჯოხეთისკენ გზას უკვლევს.

ღმერთმა ზეცაშიაც მიტომ შეაჩვენა, რომ იქაც გულღრძო, ქვეშქვეშა და ფარისეველი იყო. იქაც ანგელოზებს შორის დიდი განხეთქილება ჩამოაგდო. ერთი მეორეს შეაძულა და თვითონ ღმერთობა მოისურვა.


აქაც თავის როლს კარგად და სენდისიანად ასრულებს.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა!

ა. ბუნებარი.

მესამე „ღუმის“ საფრთხობელა.



კადეტები.

მემარცხენენი.

გ ლ ე ხ ი ს ც ო ლ ს

ქალო ღამაზო და ახალ გაზრდავ, ცრემლით აივსე შავი თვალები; ძველი, დაკონკილ ჭრელ კაბის ნაცვლად გადაიფარე ძაძა, შავები.

აღბად, ირ იცი, თავს რა დაგატყდა— შეიღოს ეხუმრები, ეალერსები; შეიღოთა იკლავ ქმრისა სიყვარულს, ქმრის ნაცვლად შეიღოსა გულს ეკონები.

ქმარი შორსა გყავს, —მტრებთან საომრად, სადაც არიან გმირი ბიჭები, უსამართლო და მწარე ცხოვრების შესამუსრავად დარაზმულები.

— მოვა მამილო, პურს მოგვეიტანსო,— შეიღოს ანუგეშებ და ეუბნები;


გამარჯვებულა მოელი ქმარსა  
და სიხარულით ცეცხლებრ ეღზნები.

მაგრამ, ლამაზო, ტყუილა ხარობ;  
გადიკაწრე ძოწის ლოყები:

შენს საყვარელს ქმარს უცხო მხარეში  
გულს უკორტიან ყვაფი-ყორნები...

ღიახ, იგლოვე, იტირე ბედი,  
კრემლით აივსე შავი თვალები;  
მოგიკლეს ქმარი, დამარცხდნენ გლენი,  
მტერმა შემუსრა ქვეყნის ძალები!..

ი. მჭედლიშვილი.



**რაცენჯინები და მსახიობი.**

(გუძღვნი ლ. ყ—ინს და ვ. ბუნისას).

— მას აქეთ, რაკი შენდამი ვიგრძენ მე სიძულ-  
ვილი,  
ჰოი, აქტიორო, სულ დამეკარგა ძილი და შვება,  
შენსა დამხობას მე შევალე ბოროტი სული,  
მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოგაყენე ავი და ვნება!..

დაღვარძლებული შური და მტრობა გულს მი-  
გროვდება,  
მინდა დაგმარხო, ბრაზ მორეული საფლავსა ვით-  
ხრი;  
გლანძღავ-გაგინებ და გრძნობა ჩემი უფრო ყროლ-  
დება,  
შენს დასამხობად ხან ცილს ვითხნი, ხან ტალახს  
ვისვრი.


განა არ ვიცი, პატიოსნურად ვერას დაგაკლებ,  
მიტომ ვარჩიე შური ვიძიო, ვით რეცენზენტმა;  
რა ვუყოთ რომა ამაყად სდგენარ, ძაღლად არ მაგ-  
დებ,  
მეტი რალა ვქნა მე უსირცხვილომ, შტერმა და  
ცეტმა!..

ეს კი იცოდე, ფუჰად არ წავა ჩემნი ჩმახვანი:  
რაც მეტს გაგლანძღავ, მეტს შეგიძულებ,—თავს  
დავიმცირებ,

უფრო აშკარად დაინახება ჩემი ზრახვანი,  
თუ ვერ დაგამხობ,—ხეჩოსგან მაინც თულოებს ავი-  
ღენ!

— ჰო და ეს არის, რაც შენ გაბრაზებს, რაც  
| ღორბლებსა გვერის  
ტყვილია შენი უსირცხვილობის აფან-ჩაფანი...  
ქუქყი-ტალახი, ჩემთვის ნაძღვენი, თვითონ შენა  
გსვრის!


მონადირე.



**ეშმაკის მათრახი.**

**ივანიკა**, — ძალიან მოსცხო დუმაში პოლონე-  
თის ავტონომისტებს ჩვენმა კარლო ჩხეიძემ!

**ნინიკა** — ოღონდაც ნამდვილი ეშმაკის მათ-  
რახი იყო: წვერი ჩვენ მოგვხდა, ტარმა მემარჯვენე-  
ების ბარკალს კვერი დაჰკრა, პოლონელებს კი არა  
დაჰკლებიათ რა.



**ბურჟუას ამონაქვნი.**

ძმობა, ერთობა, თავისუფლება,  
ვიძახით, მაგრამ როდის გვექონია?..  
რა საჭიროა თანასწორობა,  
ან რას შეიცავს ერთად ღონეა?.

ათასი ჩხრეკა, ათასი ტანჯვა,  
ძარცვა და გლეჯვა, „კონფისკაცია“.  
გზაში დახვედრა, ფულის წართმევა,  
სწორეთ გაირყენა მთელი „ნაცია“!..


„აგრარნი ვაპროსს“ გაიძახიან,  
მთელი „პარტიის“ ყველა „ფრაქცია“.  
სიტყვით და საქმით უთავბოლოებს,  
არსით არა აქეთ ნიხრი-„ტაქცია“.

სხვისი ქონება იმ წყეულებმა,  
საერთო ტაბლათ გადააქცია.  
გლეხი ბატონებს თავზე გვაჯდება,  
„სოციალისტობს“—დიდი კაცია!..

სიტყვას ვერ ეტყვი ჯოხს მოგობრუნებს,  
ტყვია მზათა აქვს, მეტად მკაცრია.  
დედულ-მამული, ჩვენი ქონება,  
პირქვე დაამხო, მთლად დააქცია!..

გზა სახსნელისა არსით არ არის,  
ვერ გვეწველის ჯარი, ვერც „პოლიცია“.  
გაათრებულმა მშვიერთა ხროვამ,  
ძალით გაგვთელა, ქვეშ მოგვიქცია.

ბომბა.



### პროექტი აზნაურის მოვალეობათა და უზ- ღვათა

(წინასიტყვაობა)

ჩვენმა დეპუტატმა კარლო ჩხეიძემ სახელმწი-  
ფო დუმაში ამცნო პოლონეთის დეპუტატებს, თუ  
რა გზით უნდა მოუპოვონ თავიანთ სამშობლოს  
ავტონომია.

„როცა ვაიგებენო, ბრძანებს ბ. დეპუტატი,  
პოლონეთის სოციალ-დემოკრატიისა და პროლე-  
ტარიატის მოთხოვნილებას და გაბატონებული კლას-  
ები დააკმაყოფილებენ ამ მოთხოვნილებას, მაშინ  
გაჩნდება ის ძალა, რომელიც განახორციელებს  
პოლონეთის ავტონომიას“.

ამავე რეცეპტით მოიპოვება თურმე, ჩვენი  
დეპუტატის სიტყვით, საქართველოს ავტონომიაც.

დიახ, სასიამოვნო ამბავია, მაგრამ, საუბედუ-  
როდ, აქამდის ფიქრად არავის მოსვლია, აენუსხა,  
რა ეკითხება გაბატონებულ კლასებს (ჩვენში აზნა-  
ურობას) პროლეტარიატის დასაკმაყოფილებლად,  
რომ მოგვეპოვა ეგ სანატრელი ავტონომია.

ხოლო ჩვენ ვიგულებთ და ვიგულისმოდგინეთ  
და დავწერეთ ჩვენის აზნაურების სახელმძღვანე-  
ლოდ ქვემოთ მოყვანილი ნუსხა მოვალეობათა და  
უფლებათა, რომელიც შეგვძინა ამ უკანასკნელი  
ორი წლის ცხოვრებამ.

თუ აზნაურობამ მტკიცედ შეასრულა ეს ახა-  
ლი თავისი მოვალეობა, უეჭველია, გაჩნდება ის  
ძალა, რომელიც განახორციელებს ჩვენს ავტონო-  
მიას.

დასასრულ, ვიმედოვნებთ, რომ პოლონელი  
ავტონომისტებიც გამოიჩინენ პოლიტიკურს გამჭ-  
რიახობას და, რა შეიტყობენ, გადათარგმნიან ამ  
ჩვენს პროექტს თავიანთ სამშობლოს სასიკეთოდ.

#### თავი ა.

#### აზნაურის მოვალეობანი.

ყოველის პირველად აზნაურმა უნდა აღი-  
აროს, რომ კაცობრიობის ცხოვრება კლასთა ბრძო-  
ლაა.

აღიაროს, რომ აზნაურობამ, როგორც ფეო-  
დალურმა წოდებამ, თავისი დრო მოსჭამა და ხალ-  
ხის მოთავეობა შეგნებულ პროლეტარიატის ხელ-  
ში გადავიდა.

აღიაროს, რომ აზნაურობა ახლა მხოლოდ  
მიწის-მფლობელი კლასილია, რომელსაც მიწის-მომ-  
ქმედმა კლასმა ბოლო უნდა მოუღოს.

ამ აღსარებას ყველა აზნაურმა უნდა შეაფარ-  
დოს თავისი კერძო და საზოგადოებრივი მოქმე-  
დება, რომ არ ჩამორჩეს ცხოვრებას და დაიმსახუ-  
როს პროლეტარიატისაგან ავტონომია, ამიტომ:  
აზნაურმა უნდა გაათავისუფლოს გლეხები და-

ლისა და სხვა გადასახადისაგან და დაუთმოს მისი  
საკუთნო მიწა სამუდამო და საშვილო-შვილო საკუ-  
თრებად.

რადგანაც ბატონ-ყმობის გადაფარდნის აქეთ,  
ორმოცის წლის განმავლობაში, გლეხებმა იმოდე-  
ნი ლალა გადაიხადეს, რომელიც ხუთჯერ და ექვს  
ჯერ აღემატება მამულის ფასსა, ამიტომ აზნაურმა  
უფასოდ უნდა დაუთმოს გლეხებს მიწა.

თუ მიწას ვალი რამ ადევს,—პრიკაზისა, ბან-  
კისა თუ კერძო,—ისევე აზნაურმა გაისტუმროს,  
რადგან ვალად აღებული ფული თითონვე შეუქამია.

რახან ერთობაა, აზნაურს თუ მიწას გარდა  
სხვა ქონება აქვს,—ზვარი, წისქვილი, ჯოჯი, ფა-  
რა,—ყველაფერი საერთოდ უნდა დასდოს, რომ  
გლეხის ექსპლუატაციის ღონე აღარ შერჩეს.

აზნაური დაემორჩილოს გლეხების ამორჩეულს  
ათისთავებსა და ასისთავებს და რა ხარჯსაც კო-  
მიტეტი გააწერს, უკლებლივ გადაიხადოს.

აზნაურმა არ მოაწყოს შავი რაზმი და თავისი  
სიცოცხლე და ქონების დაცვა მიანდოს წითელ  
რაზმს.

თუ რამ იარაღი აბადია, აზნაურმა წითელ  
რაზმს დაუთმოს, და თუ არა აქვს, უყიდოს.

თუ გლეხებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, აზნა-  
ურმა ან უჩივლედად აიტანოს, ან შენდობა ითხო-  
ვოს.

თუ ერთობის კაცებმა სახლი გაღუწვეს, ან  
ტყე გაუკაფეს, ან ყანა და ვენახი წაუხდინეს, ან  
საქონელი დაუკლეს აზნაურმა არ იჩივლოს და არც  
აზღვევინოს.

თუ ერთობის კაცებმა აზნაური დასქრეს, ან  
მოკლეს, მისმა ნათესავებმა მკვლეელი არ გასცენ,  
არც სისხლი ეძიონ.

თუ მთავრობამ სოფლის აგიტატორი შეიპყრა,  
აზნაურმა მისი განთავისუფლება ითხოვოს და თავ-  
დებად დაუდგეს.

თუ სოფელში აზნაურების დასაცველად ჯარი  
ჩააყენეს, აზნაური ეახლოს მთავრობას და ჯარის  
გაყვანა სთხოვოს.

თუ ლალის ასაკრეფად სოფელში კომისია მო-  
ვიდა ყაზახებით, აზნაურმა უჩვენოს, რომ ლალა  
სრულად ჩაბარებული აქვს.

თუ ყაზახებმა გლეხები აიკლეს, აზნაურმა  
შემწეობა მისცეს ტანისამოსით და ყოველ-თვიუ-  
რის გადასახდით.

თუ ორგანიზაციებმა შეიარაღებული ბრძოლა  
გადასწყვიტეს, აზნაურმა ბანკის მოგებიდან ფული  
გამოიღოს იარაღის შესაძენად, და მერე ორგანი-  
ზაციებმა იციან, რომელი აზნაურია ამოსაგდები  
და რომელი დასარჩენი.

აზნაურმა მოსთხოვოს მთავრობას სამხედრო

წესის მოშლა და აგიტატორების პატიება, რომ შეგნებულ პროლეტარიატს შეეძლოს დაუბრკოლებელი ბრძოლა გაბატონებულ კლასებთან.


აზნაურმა ბანკის მოგება მოახმაროს პროლეტარიატის შვილების აღზრდას, რადგან აზნაურის „ნედროსლები“ ვერც რიგიანად სწავლობენ და ვერც კურსს ათავებენ.

**თავი 8.**

**აზნაურის უფლებანი.**

თუ აზნაურს ზემოხსენებულის მოვალეობის ასრულება არა სურს, უფლება აქვს ცოლ-შვილით ძირიან-ფესვიანად აიყაროს აქედან და გადასახლდეს მანჯურის საზღვარზე.

**რიზ ბაბა.**



**ახალი პეტრიწობი.**

ბ. როფაქიძის ლექციამ ბევრს პუბლიცისტ ფილოსოფიური საღერღელი აუშალა.

ამ მოკლე ხანში რამდენსამე საჯარო ლექციას წაიკითხავენ ფილოსოფიურს თემაზე. აი ლექტორებისა და მათის ლექციების სია:

„ისარის“ **რედაქცია**, — წართქმითი მეთოდი ისტორიული ფაქტის არ-ყოფნის დასამტკიცებლად.

„წყაროს“ **რედაქცია**, — განსხვავების იგივეობა და იგივეობის განსხვავება პოლიტიკური ავტონომიის საკითხში.

„ეშმაკის მათრახის“ **რედაქცია**, — ურცხვობის უკუთქმითი მეთოდი ეთიკის საჭიროების დასამტკიცებლად.

**ქ-ნი აზიანი**. — ერთის ორობა და ორის ერთობა სალიტერატურო საკუთრებაში.

ბ. **სპერანვა**, — არარაობის განივთიერება მეწვრილმანე პუბლიცისტების მეოხებით.

აი რამდენი პეტრიწი მოგვევლინა ერთბაშად!

**დამოკიდებულება გლეხებისა მებატონესთან.**

(ათა მტნება).

1) ბატონყმობა გადავარდა, მაგრამ ეკონომიურად იგი ისევ უნდა სუფევდეს გლეხებისათვის.

2) გლეხებს მარად უნდა ახსოვდეთ რუსთველის სიბრძნე: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

3) ყოველივე ოცნება და ცდა თავის ბედ-იღბლის გაუმჯობესობაზე გლეხების მხრივ „ბუნტად“ უნდა ჩაითვალოს.

4) გლეხებმა ყოველთვის უნდა იფიქრონ

სულის ცხონებაზე და ხორცის წაწყმედაზე, ამიტომ ვვალდებით გამუდმებით იმეორონ სამოღვაწეო წერილის სიტყვები: „მოთმინებითა ზიზღილითა ზიზღილითა“.

5) სწავლა-განათლება გლეხებისათვის მანებელია, ცოდნა საშიშო, პროგრესი კი გადაგვარების ნიშანია, ამიტომ უნდა მოისპოს მათვის სკოლები, ბიბლიოთეკები, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები-

6) ადამიანობა და კაცური კაცობა გლეხობისათვის მეტი ბარგია და არა ქრისტიანული, რადგან ქრისტემ მხოლოდ გლეხებს უქადაგა: „ვინც მარცხენა ყბაში გაგარტყამს მარჯვენაც მიუშვირეო“.


7) თუ გლეხ-კაცობა საციალიზმის მიმდევარია, არც მიწა-წყალზე უნდა იზრუნოს და არც საკუთრება შეიძინოს, რადგან პრუდონმა სთქვა: „საკუთრება ქურდობა არისო“.

8) ერთ პირობა, ერთ სულობა და ყოველივე ერთობა გლეხებს აკრძალული უნდა ჰქონდეთ, რადგან ძალა ერთობაშია და სისუსტე კერძობაში.

9) გლეხ-კაცობამ ყოველივე თავისი ინტერესი მებატონეთა მცირე ჯგუფს უნდა ანაცვალოს, რადგან თვითონ გლეხები საქართველოში მცხოვრებლების ცხრა მეათედს შეადგენენ და სამართლიანობის პრინციპი მოითხოვს, რომ უმრავლესობა უმცირესობას ემონოს.

10) ცხოვრების ყოველივე ახალი ფორმები და ნორმები გლეხ-კაცობისათვის შეუფერებელია, ვითარცა რევოლიუციის შედეგი. ყველასათვის რევოლიუცია, გლეხებს კი ევოლიუცია.

**პროგრესისტი.**




**„ეშმაკის ტალახის“ მისტვირეთი.**

„არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“. კაცი ზნეობით კოტრია, თუ დაკარგა სინილისი... რა ხანია ყელს ვადგევარ ბაყაყეთის გმირებს ერთობ, რაც უნდ იცვალოთ სახელი მაინც დიდ ყურებზე გიცნობ; თქვენისთანა უწმინდურებს ნიშაღურის წვეთითა ესპობ


ველარ გიხსნით ვერც სისინი, ვერც კრუსინი, ვერც ჰოპ-ჰოპ-ჰოპ!!!

**მონადირე.**






ესდეკური პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლა




ეს ჩემი ამხანაგია,  
 ტყავის გაძრობა წიგნებისა **ეროვნული**  
 ეს ხომ კარგი და მარგია! **ბიზლიროთიკა**  
 ჩემს მაგიერათ ის იბრძვის,  
 მე კი ვსუქდები ძაღვება,  
 ვაპროლეტარებთ ქართველებს  
 „სოციალიზმის“ გზაზედა!  
 ასე სწვრია „დავთარში“,  
 ამტიცებს „ესდეკ“ ნაცია,  
 სჩანს „ამხანაგათ“ მყოლია  
 „ესდეკი“ ტუტუც-ვრაცია!

ჩახმახი.



ის ნაციით „ესდეკია“,  
 „სოციალისტი“ ტომითა,  
 ორი მტერი ჰყავს ამ ქვეყნათ,  
 მათზეა გულის წყრომითა.  
 ერთს ეომება ჰაერში,  
 მეორეს სთელავს ფეხითა,  
 ამყარებს „სოციალიზმსა“  
 ვა, ვუთ და ხვნეშითა!  
 გაპროლეტარდი, ქართველო,  
 გლებო შეიქენ „მუშაო“,  
 ბარი და სახნის-საკვეთი  
 ხელიდამ უნდა უშვაო!  
 გეყო რაც სკამე „სხვის ოფლით“  
 გეყო ურემზე მღერაო,  
 ქალაქისაკენ წამოდი,  
 მიაგდე სოფლის კერაო!  
 შენ მესაკუთრე გლები ხარ,  
 აბა რა შესაწყნარია,  
 გაქვს კაპიტალი უთვლელი,  
 გყავს ორი კუდა ხარია,  
 ასტრახანი და გურია,  
 ორივე ქვეყნათ ერთია,  
 რის საქართველო... ქართველი?  
 რომელი ოზურგეთია!  
 ასე დაჰყვირის თავზედა  
 გმირი—„ესდეკი“—ტომითა,  
 გადავწვავ საქართველოსო,  
 ვით შახაბაზი ბრძოლითა!  
 რომ სოციალიზმი დამყარდეს  
 ეს საჭიროა მისთვისო  
 და ქვეყნის მოლაღატეა,  
 ვინც ჩვენს წინააღმდეგ იბრძვისო.  
 ამდროს კი ჩვენი ბურჟუა  
 ზურგს უკან აყუდებული,—  
 საქართველოში ქართველის  
 სისხლ-ხორციით გასუქებული,  
 იცინის ჩუმათ, თან ფიქრობს:

საქართველოს ეკლესიის თავგადასავალი.



55 წლის თავი საეკლესიო მამულების ხაზინაში გადასვლიდან.

შურმოკრული საუბრები.

— რატომ არ არის „ემშაკი“ საშიშო?  
 — იმიტომ რომ შინაურია!..  
 \* \* \*  
 — რად უკლეს ლანძღვა-გინებას „ემშაკის ტა-  
 ლახში?  
 — იმად რომ „მონადირემ“ ქვემძრომთა დაქ-  
 რა-დახოცვას უმატა!..  
 \* \* \*  
 — რამ შეგაძულა ისტორია?  
 — „ემშაკის ტალახის“ ისტორიკოსმა თავის  
 ისტორიით..







სიტყვა თქმული „ამხანაგის მიერ“ გაზ. „წყაროს“ რედაქციის კარებში „ამხანაგი“ აზიანის ვიზიტის გამო.

ამხანაგებო და მოლაქენო!


მე მინდა დღეს გაგაცნოთ თქვენ დღევანდელი პოლიტიკური მომენტი! მე მინდა გელაპარაკოთ თქვენ დღეს იმ სოციალურ, ეკონომიურ, რევოლუციონურ და ევოლიუციონურ პირობებზე, რომელნიც გარს გვარტყია ჩვენ ამ წუთას. არ დავივიწყოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენს თვით შეგნებაზე და მოკიდებული ჩვენი ხსნა, ჩვენ უპირველესათ უნდა გავითვალისწინოთ ვინა ვართ ჩვენ, საით მივდივართ და მივალთ.

ჩვენ, ამხანაგებო, „ფულის“ მხრივ ვართ პროლეტარები, ხოლო „ხარისხის“ წერტილის—ხედვითი ისრით—მუშები. გახსომდეთ, ამხანაგებო, დღევანდელს პოლიტიკურ-რევოლუციონურს ხანაში დიდი მნიშვნელობა აქვს ესრეთ წოდებულს ბურჟუაზიულ ინტელეგენციასაც. მაგალითად: „ინჟინერსა და დოქტორს“. ამ გვარათ შევიგნებთ რა, თუ რა არის „ფული და ხარისხი“ „ინჟინერი თუ დოქტორი“, აქედამ ჩვენ გადავალთ აქტიურ მოქმედებაზე. ეს იქნება პირველი ნაბიჯი, ანუ პირველი ეტაფი სოციალიზმისაკენ, ეხლა, რასაკვირელია, თქვენ უკვე მიმიხვდით რას უნდა დავეყრდნოთ ჩვენ ჩვენს წინმსვლელობაში და სად მივცივან ეს ყავარჯენი.. დიახ, ამგვართ და ასე, საჭიროა მასის გათვითცნობიერება; რისთვისაც ასევე საჭიროა აზიანი თავისი „ხარისხით და ფულით“ მასში ლოზუნგათ გადავისროლოთ— ამისთვის ჩვენ

ხელთა გვაქვს „წყარო“, რომელიც სიამოვნებით დაჰბეჭდავს და გადმობეჭდავს „ბურჟუაზიულ“ ნაშრომებს „ივერიიდან“ მის ნაწარმოებთ განდებთ რედაქციის გოდორთან წმინდა ფიცს, რომ რაცკი მას შეურაცხყოფა მივაყენეთ მის ნაწარმოებთა შიგ ჩაშვებით კვლავ უკან ამოვიღოთ და მივიღოთ „წყაროში“ აი, ეს არის ანხანაგებო, საჭირო ისტორიის ჩარხის ასატრიალებლათ და აი, ეს არის დღევანდელი ჩვენი ლოზუნგი. მაშ ძირს ავტონომია.— ფედარალები ზე გაუმარჯოს ჩვენს დიად ლოზუნგს!!.

ჩახმახი.

დაჩაგრულ ერთა თავგადასავალი.



საფრანგეთისა, ბერმანეთისა, ინგლისისა და ესპანეთის ქიშპობა მარკოვნელთა „ბელ-იღბლის“ მოსაწყვსრიგებლად ..


სოფლის ზღაპრები.



თავისუფლება ფულშია.

ამხ. „გლმხის ნაბიჯის“ ანგარიში.

ტურა, მელა გადგვეკიდნენ, პადვალს გაფხნით ქალაქშიო, და ლეინოებს გაგისალებთ მოგებითა, კარგ ფასშიო... მივენდევით, გავატანეთ თვითო-ოროლ საპალნეო, ისე, რომა ზოგთა სახლში არც კი დავგრჩა საღვინეო... ქართ წისქვილი დააბრუნეს, იხმაურეს, იფხაკურეს,



ჩვენ იმედით გამოგვცემს, —  
თვით კი გული გაიხურეს.

ბოლოს გვითხრეს: ამხანაგო,  
მოდით, მოვცეთ ანგარიში, —  
რა მოვიგეთ, რა წავაგეთ, —  
ვაქართა აქვთ ესე ჯიში!..

ჩოთქი გაჰკრეს, დაგვანახვეს —  
აღარ გახლდათ არსად ღვინო, —  
ასე არის, როცა ვაქარს  
შეეწვევა კოხტა ნინო!..

აღარც ფული აღმოაჩნდათ,  
ნისია და შექმულაო,  
გულს ნუ იტეხთ, ღვინოებში  
ვეჯს მოგართმევთ აწ სულაო!..

ტურამ გვითხრა: თუ გავკოტრდით,  
ეს ნურავის ეწყინება,  
რადგან მინდა ქართველ გლეხის  
პროლეტარად დამკვიდრება!..

მრეწველობა მსურს რო დავცე,  
ჩემთვის გავხსენ სხვა ღუქანი, —  
მე ღარიბი თუ ვიქნები  
მეჯავრება სხვა „მსუქანი“...

ანგარიში გავაკეთეთ,  
გავკარით და გამოვკარით,  
შეტანილი აღარ იყო,  
ღვინოც კი ვერ გადავკარით: —

ტოს ვარგუნეთ ძველი ბოჩკა,  
შავკაციშვილს ტაბურეტკა,  
ჩუჩლიკასა იარლიკები,  
სხვებსა კიდევ სკამ-კუშეტკა!..

ტურას, მელას ფული შეხვდათ  
წინდაწინვე ანაღები, —  
ჩვენი ცოლშვილთ დამღუპველებს,  
აღარ დარჩათ წასაღები!..

ასე, ჩვენო „ნიშანდობო“,  
ტურა-მელამ შეგვკამაო;  
ერთსა შერჩა ღუქანი და  
მეორეს კი ქამა-სმაო!..

„გლეხის ნაბიჯის“ ამხანაგთა მონღობილებით სიკო.

### შ ე მ ო დ გ ო მ ა .

(მიბაძვა)

გარეთ მხოლოდ ცივი შემოდგომაა;  
აღარ ჰყვავის მდელი მწვანეთ შემკული;  
გაგვიფრინდა გაზაფხული კეკლუცი:  
ვეღარ სტკბება მისი მშვენიერებით გული.

შემოდგომა გვედის ახალგაზრდებსაც,  
ზამთარი მთლად მოადუნებს ამ ჩვენ გულს,

სინანულით მოვიგონებთ მაშინ ჩვენ  
მსწრაფლ წარმავალ ჯანით სავსე გაქრულს  
თუ გსურს რამე გააკეთო, ეტად  
სანამ შეგწვევს მისთვის ძალი და ღონე.  
გააღვიძე შენი მოძმე ძილიდგან,  
ხალხისადმი მოვალეობა აგონე.

იმუშავე სანამდე არ დამქნარხარ,  
სანამ გიძვეს მკერდში ჭაბუკი გული  
და გახსოვდეს, შრომა-გარჯა ფუქია,  
როს სიბერით დაგეღლება შენ სული.

## მედიატორეთა სასამართლო.

(ამ დროის სურათი ერთ მოქმედებათ)

მოამხმელი პირნი:

ვარლამ, მიშა, ნიკო, კოლა, დათიკო. } თავჯდომარე.  
ნიკო, კოლა, დათიკო. } მედიატორენი.

საჩქოლეს გამგე.  
გიორგა ესერიძე, უფრ. მებაღე.  
ვისილ, მებაღე.  
პეტრე, ფერშალი.  
ივანე რუსი, მკედელი.  
სტეფანე, ქუჩერი.  
კესარი, მზარეული და მრეც-ხელი

სოფლელები, დღიური მუშები  
საჩქოლეში, მოწმენი, გარეშე  
ხალხი.

(სცენა: საჩქოლეს ერთ შენობაში დიდი სრული ოთახი. ცალ მხარეს დიდი მაგიდა, რომელსაც გარს უსხვდნენ მედიატორები. მარჯვნივ დებანან: გამგე საჩქოლესი, თვიური მუშები. მარცხნივ: გიორგი, სოფლელები, ზოგი დღიური მუშები და გარეშე მკურნებელი. ცხარე კამათი აქვთ, ხელეზის ქნევით, თავის ქიკინით, მუშტის მოღერებით ერთმანეთში მემარჯვენეთა და მემარცხენეთ. მედიატორენიც ერთმანეთშორის საუბრობენ. ვარლამ დაიჭერს თავჯდომარის ადგილს და ზარს რეკს).

**ვარლამ.** აბა, საქმეს შეუდგეთ! სიჩუმე! მგონი, ყველა აქაა, ვინც საქმისთვის საქირაო!

**ვას. მებაღე.** ზედ-მეტიცაა, თორემ... ამ სოფლელებს რა უნდათ აქ, ეგენი განა რა მუშები არიან? მუშათა პარტიას ჩვენ შევადგენთ. მებაღე გიორგისაგან ჩვენა ვართ აქ დაჩაგრულნი და ესენი რა მოხელენი არიან?

**1 სოფლ.** რაფა, ბოშო, ჩვენ მუშები არა ვართ თუ? რას ბეუტურობ!

**ვას. მებაღე.** აქაური, შინაური საქმისა თქვენ რა იცით? რაღაც ორი დღე მოხვალთ

თვეში საქირაოთ—აიღებთ დღიურ ქირას და მიდინხართ ოჯახში. მუშები ჩვენ ვართ აქა, თქვენ კი მესაკუთრე-ბურჟუები ხართ, და...

**1 სოფლ.** და, დაგიდგა თვალები! ამ კრებულთან ბოდიშს ვიხდი, და—ვეპრუნ შენს საქმეს—აქანა ბიჭუა არც ერთი არაა! მე გოგია მქვია, ამას ლუკია, პეტრე, მარკოზა და რამანოზ... მე ბურჟუა ვარ და შენ პროლეტარია! ბიჭო და, ადგილ-მამული ორი და სამი ჩემდონი გაქვს, კაი ექვსი თუმანი ჯამაგირი და...

**ვარლამ.** (ზარს). მოითმინეთ, ეგ უბრალო ლაპარაკი გამოდის. ამისათვის არ მოვსულვართ ჩვენ აქ...

**გამგე.** სანამ საქმეს შეუდგებოდეთ—ნება მიბოძეთ ორიოდ სიტყვისა.

**ვარლამ.** ბრძანეთ!

**გამგე.** როგორც გამგემ საჩქოლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ყველა გარშემო სოფლები აქ შეიკრიბნენ—სახიფათოა. კრებები, თავ-ყრილობა აკრძალულია, მოგესხნებათ და პასუხის მგებელი მე ვარ აქ.

**ვარლამ.** უადგილოა თქვენი შიში... ჩვენ აქ, როგორც მედიატორები, არჩეული პარები მოუწვევივართ. სამედიატორო სასამართლო აკრძალული არაა რეაქციის დროსაც.

**გამგე.** როგორ, მედიატორები? განა მომჩივანი მუშები დათანხმდენ ამხედ? ეგ არ ვიცოდი! მართალი გითხრათ, ჩემი სურვილიც იყო, რომ ერთ-ერთს სოციალისტურს პარტიას გაერჩია ბატ. მებაღე გიორგისა და ჩემ მუშებ შორის ატეხილი დავა, უფრო კი სოც.-დემ. პარტიას, როგორც პირდაპირს მოამაგეს მუშათა ინტერესებისა. ბატ. გიორგისაგან დაჩაგრულმა მუშებმა კატელორიულათ განაცხადეს მისი დათხოვნა საჩქოლიდან, თუ არა გავითვითხოვთ... ამით ზარალი მოეღოს საჩქოლეს და მე...

**თავჯდ.** მოითმინეთ, თქვენ როგორღაც... განა ჩვენ ამის გამოსარკვევათ არა ვართ აქ მოწვეულნი...

**გამგე.** მერე, ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ მედიატორეთა განჩინების გასაჩივრება რა ძნელია, თითქმის არც შეიძლება?

**პეტ. ფერშ.** არაფერი სამედიატორო არა გვაქვს ჩვენ. ჩვენ ვეკუთვნივთ მუშათა პარტიას, რომელიც იჩაგრება და მუდამაც მიე-

მართავთ იმ ორგანიზაციას, რომელიც თავგამოდებით იცავს მუშათა პარტიის ინტერესებს... (მედიატორებს) თქვენ ხომ სოციალ-დემოკრატები, ამხანაგები ხართ?

**თავჯდ.** ეგ საქმეს არ შეეხება—ჩვენ ვინცა ვართ...  
**ნიკ. მედ.** (თავმჯდომარეს). შემძლიან ერთი კითხვა? (თავმჯდომარე თავს უქნევს) ბატ. გამგე! რა სახელი გქვია ჩვენ, რომ მოგვიწვიეთ, ვინა ვართ, რა ვართ?

**გამგე.** ვინა ხართ?! ეგ, სწორე გითხრათ, ჩემთვისაც ძალიან საქირაოა, ვიცოდე:—თქვენ ლეგალური პირები ბრძანდებით ყველა?

**ნიკო.** ერიპა! ეგ ისეთი კითხვაა, რომელ კითხვაზედაც თვით ამ რეაქციის დროსაც პასუხს არ იძლევიან, (გადაულაპარაკებს თავმჯდომარეს).

**თავჯდ.** ნამდვილათ! (თავს დაუქნევს) საქირაო ახლავ გვითხრათ; გაძღვეთ ხუთს წამს—მოიფიქრეთ და გავგაგებინეთ—გვანდობთ თქვენს საქმეს, როგორც მედიატორებს გასარჩევათ, თუ არა. (მუშებში ჩოჩქოლი ატყდება. გიორგი მედიატორებთან შედის და იმათ).

**გიორგი.** იცით, მაგათი აზრის სულ სხვა იყო. მაგათა სთქვეს და ... მორჩა. უნდა გამაძეონ აქედან საქმის გამოუძიებლათ, განუსჯელათ, კაცო! (მუშებს) რისა გეშინიანთ, რა გაფიქრებთ? ესენი სულ თქვენი ინტერესების დამცველნი არიან. აი, სამი სოციალ-დემოკრატია მედიატორეთ... თვით თავმჯდომარეც მათ შორის...

**თავჯდ.** მოითმინეთ... ეგ რა საქირაოა....


**მებ. გიორ.** იმ თავითვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ სწორეთ ამ პარტიის ხალხს გაერჩია ეგ საქმე. მაგრამ თუ თქვენ შორის სხვა პარტიის ხალხიც არის—ეგ თითონ ამითვე სურვილი იყო. საქმე უქველათ უნდა დღესვე გადაწყდეს... გამამტყუნებენ—ალაღი იყოს, ქედს მოვიხრი, წავალ აქედან, ხოლო საქმის გაურჩევლათ-კი თავის დღეში!

**ერთი მუშა.** ამხანაგებო! იყოს სამედიატორო სასამართლო!

**მეორე მუშა** ამხანაგო, ფაქტიური შენიშვნა! ვთქვით, გადაწყვიტეს ამ კაცის აქ დარჩენა, ხო უნდა დავემორჩილოთ განჩინებას... ყაბულს იქნებით?

**მუშები.** არა, არა!

**ერთი მუშა.** ამხანაგებო! სმენა! ფაქტიური შენიშ-



ვნა, ამხანაგის ფაქტიურ შენიშვნაზე, ჩვენ რი ახლა მედიატორებმა სასამართლოზე უარი ვთქვათ, ამ შეგნებულ ამხანაგებთან — მედიატორებთან სირცხვილს ვკვამთ, ორგანიზაციის წევრების წინაშე სახელს გავიტეხთ. ამათვან სამი ჩვენები ყოფილა, თავჯდომარეც ჩვენია... იყოს მედიატორეთა სასამართლო!

**მუშები.** იყოს, იყოს!... თანახმა ვართ! შეუდექით საქმეს...

**თავმჯდ.** (რეკს) კეთილი! მაშ, აბა, მოდით და სათითაოდ ხელი მოაწერეთ ამ ქალაღზე... ხო თანახმა ხართ ჩვენს განაჩენს ყოვლის უარის უთქმელათ დაემორჩილოთ?..

**ვას. მებაღე** (მიდის) ისიც ხო მოაწერს—ვისაც ვუჩივით?

**გ. მებაღე.** (მიდის პირველად და კალამს აიღებს) აი, ბატონო, მე პირველი მოვაწერ. (ყველანი რიგ-რიგათ მოვლენ და აწერენ ხელს. ქუჩერმა და კესარიამ, რადგან წერა არ იციან, ამხანაგებს სთხოვენ და ისინიც აწერენ მათ მაგივრათ).

**ვარლამ.** აბა, ახლა, სიჩუმე... (სიაში) ვასილ-მებაღე! რას იტყვი;

**ვასილ.** მე იმას ვიტყვი, რომ, ეს რაცა ხანია აქა ვარ, მებაღე გიორგისაგან მუშების ლანძღვა-თრევის გარდა არა მესმის რა, ე. ი. აქაური ნამდვილი მუშებისა და არა დღიურებისა, სოფლელებისა. ეგ თვიური მუდმივი მუშები მოითხოვენ ამ მებაღე გიორგის გადაყენებას ადგილიდან.

**თავმჯდ.** თქვენ გაულანძღვიხართ როდისმე, გაქვთ რაიმე დამოკიდებულობა მასთან?

**ვასილ.** დამოკიდებულება არაფერი მაქვს მასთან, თავისუფალი მებაღე ვარ...

**თავმჯდ.** ე. ი. როგორ თავისუფალი?

**ვასილ.** ჰო, შტატის ადგილი არა მაქვს, ისე დროებით ვმუშაობ აქ...

**მედ. ნიკო.** (გამოთხოვს თავმჯდომარეს დაკითხვის ნებას) თქვენ, ვასილ, რა გეძლევათ აქ ამ დროებით მუშაობისათვის, ან ხო არ შეგპირებიან ადგილის მოცემას?

**ვასილ.** კი შემპირდენ... ახლა ექვსი თუმანი მაქვს ჯამაგირი...

**ნიკო.** მოპასუხე გიორგი მებაღე, რამდენს იღებთ ჯამაგირს?

**ვასილ.** რვა თუმანს!

**ნიკო.** იმის ადგილს ხო არ შეგპირდათ ბატ. გამგე?...

**ვასილ.** მერე რა, ... ვითომ იმდროინდელი ვეგ რა კითხვაა, მე არ მესმის (ცხარეთ) თქვენ ზედვე გეტყობათ, რა ჩვენი პარტიისა არა ხართ...

**ნიკო.** დამშვიდდით, მე მხოლოდ კითხვა მოგეცით!...

**ვასილ.** მე, შეგნებული მუშა, მაგისთანა კითხვებს და მაგისთანა ექვებს...

**თავმჯდ.** მოითმინეთ! გაქვთ კიდე რამ სათქმელი?

**თავმჯდ.** არაფერი! მაგრამ მე უნდა ვიცოდე...

**თავმჯდ.** დაბრძანდით, დაბრძანდით! პეტრე-ფერშალი! თქვენ რა იცით?

**პეტრე.** მე აქ ფერშალი ვახლავართ. როგორც წვერი მუშათა პარტიისა, სოციალ-დემოკრატიისა ვექიმობ აქ ამ დასწეულეზულს, ილაჯ ვაწყვეტილს მუშებს. ეს ბატ. გიორგი ვირებივით ამუშავენს ამ ხალხს და იპიტომაც წამ-და-უწუმ სულ ვირის-თავენს ეძახის მათ. როგორც ექინს შემძილიან დავამოწმო, რა აქ უფრო ხშირათ წელისა და გულის ტკივილია, ამ უღმერთო კაცმა მუშებს უზომო ჯაფით წელი და გული მოუშალა. გამოუღეველი ავთამოფები მყავს და დროსულ არ მიჩეგა ჩემი ცოდნა გარეშეც მივაწოდო დაუძღურებულს ხალხს.

**სოფლეული.** გარეც, თვარა შენ როგულ მტკინეულათ გვეკიდები. ჩემს მეზობელს ქალი გაუხდა ავთ და თუმან ნაკლებ ფეხი არ მეიცვალა... მაგ იყო ის. მერე სულ სამი ვერსი თუ იქნება აქიდან, და თუმანი თუ შევიძელი, რალა მაქ მევიყვანო, მაგის წამალი ოყნა და ქინაქინა... გომართელს მევიყვან ამ ფასათ. მუშათა პარტიაო... და მე როდი მეძახის მუშას... თქვენო—რევოლიუცია ხართო! (თავმჯდომარე ზარს აიღებს) მეიცა, შენი სულის ჰირიმე-ნუ დარეკავ... ორი სიტყვა მაქვს, კაცო, სათქმელი... თქვენო,—რევოლიუცია ხართო, ჩვენი არაფერი არ წამს-ყე... ჩემისთანა მუშაა მაგ?! გაკრახმალეზული პერანგი, დარეიას კურტიჩკა, გავაქსული პოლსაპოჩკები და ახლა მე შემხედეთ... ჩემს ხელებს და მაგისას, ჩემს მორთულობას და მაგისას, ჩემს ბინას და მაგისას... ამას, ბატონო, მაგისთანა მეტიჩრებზე მოგახსენებთ თვარა სხვებზე კი არა... იმგენს ჯვარი სწერია... მარა,..

**თავმჯდ.** (რეკს) მოითმინეთ, ამხანაგო!..  
**1 სოფ.** ე, გადღეგრძელა ღმერთმა! — შენ ქე მე-  
 ძახი ამხანაგს რე მაგენტან რო ეს სიტყვა  
 წაჰომცდეს — ძმარს წამადენენ ცხვირში.

**თავმჯდ.** კმარა — მეთქი!.. განაგრძეთ, პეტრე!..  
**პატრე.** მე ვიცავ მუშათა პარტიის ინტერესებს...  
**1 სოფ.** კილო და კილო! (სიცილი).

**თავმჯდ.** კმარა — მეთქი. სასაცილოთ ხო არ მოე-  
 სულფართ აქ!? ასე არ შეიძლება!.. გა-  
 ნაგრძეთ!

**ფერშალი.** ჰო, მე იმას ვამბობდი... ესე იგი უნდა  
 მეთქვა, სხვათა შორის, რო ჩვენ აქ  
 საჩქოლეში უნდა გვეძლეოდეს, ხოლმე  
 ხილეულობა და მიწის სხვა ნაყოფიც —  
 ბოსტნეული და მისთანები, ბატ. მეზა-  
 ლე ჯერ ავათმყოფებისათვისაც არ იძ-  
 ლევა პირველი სორტის ხილსა, თორემ  
 მე რა, მე ისეთი სხალი მომაწოდეს  
 ერთხელ, რო ღორიც არ შექამდა. თა-  
 ვის დროზე ცხენებს ვერ ვშოულობ  
 საჭიროებისათვის...

**მეზაღე. გ.** (თავმჯდომარეს) შემძლიან ერთი კით-  
 ხვა... ბატონს ექიმს?

**ფერშალი.** ეგ რა დაცინვის კილოთი ბრძანებ-  
**ბატ. ექიმს?** სწორეთ ეგ დაცინვას აღე-  
 ლოა და მუშების სასაცილოთ აღემა-  
 რო ყველანი გადმტერთ.

**მეზაღე გ.** რა გაეწყობა... მე ის მინდოდა მეკითხა  
 ბატ. ფერშალისათვის — რაკი არ მოს-  
 წონს — აქ ხილს მე ვურიგებ!.

**ფერშალი.** არა. აი, ეს მუშა... მერე რა?


**მეზაღე გ.** ჰო და, ეკითხოს ამ თქვენს ამხანაგს,  
 სინდისის ქვეშ სთქვას — მითქვამს რო-  
 დისმე მაგისტვის ავათმყოფეს ცული  
 ხილი მიაწოდეთქო, ანა და ფერშალს  
 ისეთი სხალი, რო ღორმაც დაიწუნოს  
 და ისეთი ბოსტნეული რო ვირმაც არ  
 სქამოს... თუ მითქვამს? შენა და შენი  
 კაცობა?..

**1 მუშა.** არა, სიმართლე სჯობია — არ გითქვამს...  
 თითონ ხილი არ მოდის ხშირათ კარგი,  
 რაც არის იმას გაძლევთ..

**თავმჯდ.** კარგი, კარგი! ჰმ! თქვენ გაათავეთ?  
 დაბრძანდით. მჭედელი ივანე! რა იცით?  
 (შემდეგი იქნება.)

თომა პუსა.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წლიური კრების გამო.



საზოგადოების მუზეი და კანცელარია.

# პროპინცია.

**შოთი დაწყევლაც ასეთი უნდა.** ერთი თათარი ეუბნებოდა თავის ამხანაგს: „ქრისტიანებმა შემაცდინეს და ღორის ხორცი მაჭავესო. ამხანაგმა ანუგეშა და ქრისტიანი ასე დასწყევლა: „ვინც შენ ღორის ხორცი გაჭამა, იმას შემწვარი გოჭი ეჭამოსო“ და ორნივე გაუდგნენ გზას.

ჩვენებურ ესდევნებაც ასე მოუვიდათ: ერთი ესდევნი შესწიოდა მეორეს: ფედერალისტებმა შემაცდინეს და ავტონომია მიმალეხესო. „ამხანაგმა“ ანუგეშა და ისე დასწყევლა ფედერალისტი, როგორც თათარმა ქრისტიანი, ვინც შენ ავტონომია მიგაღებია იმას „ფედერაცია“ არ აშორდაო.

ასეა თუ ისე, დღეს დღეობით ესდევნები ნელ-ნელა ეჩვევიან ავტონომიას და სიტყვა ავტონომისტი უკვე ლანძღვის სინონიმი არ არის. იმედია, ცოტა ხნის შემდეგ სრულიად იწამებენ მათ მიერ წამებულ ავტონომიას, თუ არა გვერდით წყაროს კვირის ნომერი წაიკითხეთ.

ასკანელი პროკოფია.

## მ. ახალციხე. ახირებული ექსპროპრიაცია

29 ნოემბერს საღამოს ჟამს ვილაცა ბოროტგანმზრახველი ჯარის კაცად მოჩვენებული სვიმონ გოზაშვილის საბაყოლო დუქანში შესულიყო, შიგ რომ არავინ დაუნახავს, სწრაფად სცემია დახლს, გაუტაცნია და მიმალულა. მნახველები ამბობდნენ: ნამდვილად ჯარის კაცი იყო, შინელს ქვეშ რაღაცა იაშვიკა ეჭირა და ქაქანით მირბოდაო. როგორც დაიარაღებულმა გადმოგვცა დახლში ჰქონია სამ მანეთამდი წვრილი ფული, ერთი ცალი 25 მანეთიანი ქაღალდი, სამი თუმნის ნივთიერი, თავის საკუთარი ბილეთი. ერთი მარჯანის კრიალოსანი და ხელწერილები. ამისთანა შემთხვევები ხშირად ხდება ხოლმე ჩვენში. სასურველია, ვისიც ჯერ არს ყურადღებებს მიაქცევდეს, თორემ თუ ცარცვა გლეჯას დარაჯებიც ხელს მიუოხებენ, სულ არ გვეცხოვრება და ჩვენი ახალციხე, მართლაც ციხედ გადაიქცევა.

## მ. გუგუნბეგი.

**ჭიათურის წიკაურტაბი.** შევეკარით რა კავშირი ყველა ჭიათურის მასაჟისტებმა, ვღებულობთ დასარბილებლად და პირისახის გასასწორებლად ყველას, ვინც საღამოს ბაზარში გამოვა...  
წარმომადგენელი: ნასტრაჟნიკალ-ბაზარნიკი.

კვირას რვა საათზე თხილამის დუქანში შეიქმნა ერთი ორომ-ტრიალი; თურმე, ნუ იტყვიოთ,

დამთვრალა ეს-დევნების ლიდერი ბ-ნი ევტროპი და შეუსხამს სიტყვა „აფხანაკ“ მეტრაქტირესა თვის... მინიტინგი დასრულდა მით, რომ მეორე დღემდის ბოლოციის აბანოში გაუთენებია.

თეატრის პარტერი ავ-ზნეთა გამასწორებელ განყოფილებად გახადა ახალმა ადმინისტრატორმა შალ-შვილმა.

ბაზრის ქუჩაში ორშაბათ დღეს კინალამ დაიხზო წუმბეში ცხენით მომავალი ცნობილი მოღვაწე კიტა აბაშიძე—გ. ნანეიშვილმა გადაარჩინა... ძლივს დაადგინეს ქუჩის მოკირწყლა.

აქაურმა ეს-დევნებმა თავის წარმომადგენლად მესამე დუმის კარებთან გააგზავნეს ბ. „თაგუნა“ პარტიულ ორგანოდ ამოირჩიეს ოთხ ძარღვიანის კენჭის ყრით „ეშმაკის მათრახი“, რედაქტორს აახლეს დეპუტაცია—ძღვენიო...

„ბიჭი-ბიჭი“.

## კუტრუსების „ისტორიკოსს“.

ერთხელ მეც ვიყავ კაცუნად, ჩემთვის ვცხოვრობდი, სიმართლესა არ მივსდევდი, ისე „ვშრომობდი“... მივეც ცდუნებას გრძნობანი, ჩემი აზრები, „ისტორიაში“ ვაგები—დავგე დავთრები. ბოლოს სულაც გავვირიე, დიხაც წავხდი—ავცუნცრუკდი და „ეშაკსა“ ზედა შევხტი. უმეცრობით, უფრო შურით, ვისვრი წიხლებსა... ყველას ვიწუნებ, უფრო კი ქართველ მწერლებსა! მაშ რაღა ვქნა, გაკოტრებულს რაღა მრჩომია... უსირცხვილო აბდა-უბდა წილად მხდომია! რასაცა დაწერ—პირადობა ან სულ ქორია, და ასე შევქმენ კუტრუსული მე ისტორია!


მონადირე.

## გ ა მ ო ც ა ნ ა .

(ბათუმლებისათვის)

კარლისს მე XII ჰგავს ეს პატარა კაცუნაო, კჳუას მეტად ძალას ატანს ცუგრუმელა თაგუნაო. ასე ამბობს, მარქსისაებრ, კუქმა მკას და კუქმა ხნასო, რას მიქვიან ეროვნება, პროლეტარმა გარდაქმნასო. აბა ერთი დამიმტკიცეთ: კუქი არ ჰქმნის ისტორიას? რას მიქვიან კაცთ მისწრაფვა, რას ვაქნევ მათს ენერგიას?!..

პატარაა ცუგრუმელა, გაუხდია კუქი ღმერთად და ეტყობა ამ „მეცნიერს“, რომ არ არის მარტო, კენტად.



ცალმხრივა აქვს მიმართული გული, სული, თვალი, ყური, ცალმხრივადაც დაბერდება „კაპიტალის მოყვარული“ მარქსის თაყვან-მცემელია ცაცუნ-კუკუნ-ცუცუნაო, გამოიცანთ რომელია ეს პატარა თაგუნაო!..

**დროებით ბათუმელი.**

**კ უ ტ რ უ ს ე ბ ს .**

ერთი ვაი უშველებელი, —ორმეტრიანი ატყდა წარსულ კვირას კუტრუსების ჭაობში...  
აყყანდნენ, აკუნტრუზდნენ ბედაურები? —  
რა იყო! რა ამბავია? რა მოხდა?!

მიზეზი არ ჰქონდათ თუ?  
თურმე, ნუ იტყვი, ჩვენს რედაქტორს „თავისთავი ბაუშოლტავს“.  
აბა თვითონ გასინჯეთ.

დღე მუდამ ჩვენ რედაქტორს აუარებელი წერილები მოსდის ლექსათ თუ პროზად.  
მათი გადაშინჯვა, გასწორება და დასაბეჭდვით მომზადება დიხხაც უმადური საქნა.

ამ სამი კვირის წინდ ჩვენს რედაქტორს, სხვათა შორის, მოსვლია მარჯვით და სხარტულად დაწერილი ლექსი — ნაწყვეტი ვილაც ურწმუნო თომასი, რომელიც საუცხოვოდ ახასიათებს და ასურათხატებს მესამე დუმის იმ „მოღაწეთ“, რომელთა „ღვაწლი“ და როლი ნებაუნებლიედ ყოვლად უნაყოფია და სრულებით არაფერს არ წარმოადგენს, გარდა ყოველ დღიური ულუფის მიღებისა (თითო თემანი თვითეულ ესდევის დეპუტატს).

ყველასათვის ცხადია, რომ ეხლანდელ დუმაში ესდევებს დუმილის მეტი არა დარჩომიათ რა და, ღვთის წინაშე, ასედაც იქცევიან...

სხვაფრივ ვერც მოიქცევიან, რადგან დუმის უმრავლესობა განუხაზღვრელი თვითმპყრობელობის მოციქულები არიან და მემარცხენეთ და მათს აზრს ტავრიდის ჭერ ქვეშ არ გააჭაჭანებენ...

საკმარისია მოვიგონოთ ფეოდორ როდიჩევის თაგად-დასავალი „მურავიოვის საყელოს“ (воротникъ) და „სტალიბინის ყელსახვევის (галстукъ) შესახებ დუმის შესანიშნავ კრებაზე წარსულ 23 ნომებერს...  
ჰო და ჩვენმა რედაქტორმა შესაფერად და საპიროდ დაინახა, რომ ზემოდ ხსენებული ლექსი — ნაწყვეტები დაებეჭდა და დაბეჭდა კიდევ მე 14 №-ში.

თურმე, წარმოიდგინეთ, ლექსის ავტორს ერთსა და იმავე დროს „ნიშადურის“ რედაქტორის და მას მოქიშვე კუტრუსების გულის მობეჭა განუზრახავს...

სხარტულ ლექსში გაუწკპლავს ესდევების ყოველსავე მნიშვნელობას მოკლებული „ღვაწლი“ დუმაში და თანაც „ნიშადურისათვის“ გოცირიძეს კვანტი გაუკრავს: აკროსტიხად გამოუყვანია — ნიშადური ყარსო.

ეგ იყო და ეგ.  
ეხლა ნახეთ რა ზეიმ-ზარი და განგაში ასტყდა კუტრუსების „ეშაკის ტალახში“. სიხარულით ცას ეწიეს: ნიშადური ყარსო.

ჯერ ერთი ნიშადური არა ყარს, არამედ სწვავს და სდაგავს და ებ თვისება ნიშადურისა ყველაზე უკეთ თვით კუტრუსებმა იციან.

მეორე — ლექსის დამწერის საქციელი ლიტერატურული თაღლითობა, ჭურდ ბაცაცობა და არამზადობა.

ამ ჩვენს უკულმართ დროში თაღლითობენ ყველგან და ყოველისფერში.

ვსთქვათ ჩვენს რედაქტორს შეაპარეს ორპროვანი ლექსი.

მერე რა?  
როდის აქეთაა, რომ მოპარვა, მოტყუება, გაიძვერობა, თაღლითობა და არამზადობა საქებური, ტაშისა და ვაშას ღირსი შეიქნა?

განა არ შეიძლება ნიშადურის რედაქტორს ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოაცალონ, სახლში ეწვიონ სტუმრის სახელით და პალტო აუტალახონ?

ნეტა რომელ პლანეტაზე უწოდებენ მოტყუებას და სივალახეს რაინდობას! თაღლითობა-სიღუბჭირეს ვაქცაცობას?

კარგად დაფიქრდით კუტრუსებო, რით მოგაქვთ თავი? რა უკულმართობით ტრაბახობთ?

რედაქტორი მასალებს რომ სინჯავს, — მის იდეურ მხარეს, მის მეტ-ნაკლებობას, მის ღირსებას და შესაფერილობას სდებს ფასსა და რომელ ჭკუთ მყოფელს მოუვა აზრად, თუ არ გაიძვერას, რომ ესა თუ ის ლექსი ერთსა და იმავე დროს ესდევების „ღვაწლს“ პანდურსა კრავს და თან იმ ორგანოსაც შეუარაცყოფს, რომელშიაც იგზავნება დასაბეჭდათ.

დამეთანხმეთ, კუტრუსებო, ასეთი საქციელი საუკეთესო ნიმუშია იმ ჯურა მჯღაბნელებისა, რომელთა ადგილი ყოველ შემთხვევაში უურნალ-გაზეთების ფურცლებზე კი არა მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი დაწესებულებაა...

და თქვენ, უბადრუკნო და უკულმართნო, სულით და გრძნობით გლახაკნო, შეხარით, სტკებებით ისეთის საქციელით, რომელიც ოდნავ მაინც გრძნობა-გონება განვითარებულ ადამიანს ზიზღსა და ბრახს გვრის ხოლმე.

სად არის თქვენი სიფაქიზე, თქვენი პატიოსნება, თქვენი რიდი და მორცხობა?

სად არის თქვენი გრძნობა კეთილსინდისიერობისა? ან კი გქონდათ როდისმე?

სად არის თქვენი ეთიკა? ბანა ტყუილათ დაგიწერეთ, წინა ნომერში, რაც არა გქონიათ იმას რაღას დაეძებთ მეთქი?

ურწმუნო თომას და მისთანათა ვერაგული საქციელის დასაგმობად ხმის ამოუღებლობაც კი სათაკილო და საძრახისია, არა თუ მათი თანაგრძნობა და გადაჭარბებული „ეშაკური“ მალაყები და სიხარულის ყროყინი!

ან იქნება ხსენებული ლექსი თქვენი „ფაბრიკაცია“, თქვენ მიერ „გაქარხნებული“?!

ეს ხომ ჭკუასთან ახლოა და ადვილად დასაჯერებელიც, რადგან **მხოლოდ თქვენ მიაგენით** სამ ათას მკითხველში აკროსტიხს...

განაგრძეთ, განაგრძეთ, კუტრუსებო, თქვენი ფასდაუდებელი „ღვაწლი“... და გჯეროდეთ —

„როცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ ავცდებათ“!

მაშ აგრე „თავის თავისს გაშოლტვა“ უკან წაიღეთ, როგორც თქვენი საკუთრება და კუთვნილი და ჩემგან თქვენთვის გადალოცვილი და ზედ კიდევ დაუმატეთ ჩვენებური ბრძნული თქმულება:

„ვირმა პალო მოგლიჯა, ერთი რომ სხვას უთავაზა, ოცი თავის თავს სდრუზაო“!

**მონადირე.**

სიზღარა „ოტარაპიტელისა“

ქართული ხელოვნება.

ეროვნული  
გიგლიორთიკა

რაც სასტიკი ღარი იდგეს,  
გინდ ქროდეს და გინდა თოვდეს:  
შე „ვაგზალში“ უნდა ვიყვე,  
„ნაკლადნოიც“ ხელში მქონდეს.

რა დაკვილებს „პარავოზი“  
შე მომესმის სევდა-გლოვად;  
ეგებ ჩემი „ვაგონები“  
წაათრიეს ასაწონად!

გავიქცევი სასწორებზედ,  
მაგრამ ტყულად—სხვისი დგება;  
დავბრუნდები მოწყენილი—  
მოლოდინში სული მძვრება!

მეძინება, მაგრამ სადა?  
ბაქანზედ ხომ ვერ დავწვები?  
სხვა ალაგი არაღ არის,  
ფეხზედ დგომით ჩამოვხვები!

ბედნიერებს ყველას სძინავთ,  
მეც მებარვის თვალზედ რული,  
მაგრამ „სოსტავიტლებს“ თხოვნით,  
მინც დავსდევ მე ბედკრული!

— „ამიწონეო ვაგონები,  
მოვკვდი კაცი, ველარ გავქელ;  
ხეალ სადილად დაგპატუებ,  
პატიოსან სიტყვას გაძღვე!“

ეს არ კნარა, თუ ნომერი  
შემცთა უცბათ ვაგონისა;  
ცალკე „შტრაფი“, ცალკე ლანძღვა,  
დამატყდება მე გამგისა!

თუ წონაში ასი ფუთი  
გამოვიდა მეტ-ნაკლები;  
ვაგონს „ტუპიკში“ გზავნიან,—  
აბა ვის რათ ვენაღვლები?

ასე ამ რიგათ დღე და ღამ  
ვწვალობ, მედება გენია;  
ორ გროზად ვყიდი ჯან-ლონეს,  
ტანჯვით მაკლდება დონია!

ტიტიკო მგელაძე.

ნ ა ყ ი ღ ი ხ ო რ ც ი .

ქალაქის განაპირას მწვანეზე, ერთს აქარელს,  
თურმე ხორცი ეყიდნა, შამფურზე აეგო მწვადსა  
სქამდა სალამოს პირას. ერთი ლუკმა გაუვარდა.  
სიბნელეში მიუსვ-მოუსვა და ბაყაყს წამოავლო ხე-  
ლი და სწრაფად იგდო პირში.

ბაყაყმა კბილებში ჭყვირილი მორათო. აქა-  
რელმა ყბების ქნევას მოუჩქარა და სინილის დამ-  
შვიდებული გაიძახოდა:

„ფულით მიყიდნი ხარ, რამდენიც გინდა იქ-  
ყვლზე, მინც უნდა შეგკამოვო!“

მესხი კ. გვარამაძე.



ნატ. გაბუნია-ცაგარლისა.

25 წლის იუბილესი გა.ო.

რედ.-გამომცემელი ვალენტინ გუნია.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა .

მხოლოდ მოზრდილ მოწაფეთა (ორთავე სქე-  
ლის) საუბრადღეობით!

ჩვენ განზრახვა გვაქვს, ახლო მომავალში გამოე-  
სცეთ ორ-კვირეული ნახატებიანი ჟურნალი (იუმო-  
რიულის განყოფილებით) „მოწაფე“. ვისაც სურს,  
რომ ჩვენ ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობა მი-  
ღოს და „კომპანიონად“ შემოგვიერთდეს, საჭიროა  
სანამ ხსენებული ჟურნალი გამოვიდოდეს სადრე-  
სო სიაში ჩაიწერნენ. ჟურნალი პატარა ფარმატისა  
იქმნება და არც დიდი თანხაა საჭირო, მხოლოდ  
ჟურნალის მიზანი ისაა, რომ იგი მოწაფეთა ორგა-  
ნო იქმნება, სადაც თვითონვე ხსენებული მოწაფე-  
ნი გამოვლენ სამწერლო ასპარეზზე. უფრო რიგიან  
პირობების შესატყობად საჭიროა მიმართონ (გინდ  
წერილობითი, საპასუხო მარკით) თვით ამ ჟურნა-  
ლის ინიციატორს კ. გულიაშვილს, კუკია, თამარის  
ქუჩა, სახლი მ. კვირა-უქმე დღეებში, დილ. 9—11  
საღ. 4—6. საათამდის.

ინიციატორი კ. გულიაშვილი.